მარიამ მაჩაიძის მასტერკლასი

18.06.16

შაბათს, 18 ივნისს ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის კამერულ დარბაზში შედგება The Juilliard School-ის მაგისტრ, Hochschule für Musik Hanns Eisler-ის მაგისტრანტ მევიოლინე მარიამ მაჩაიძის მასტერკლასი

დასაწყისი 15:00 საათზე.
დასწრება თავისუფალია.

მარიამ მაჩაიძე დაიბადა ქ. თბილისში 1992 წელს. ხუთი წლის ასაკში სწავლა დაიწყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედში, ვიოლინოს მიმართულებით, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ თემურ ფერაძე და პროფესორი კონსტანტინე ვარდელი. 2010 წელს მარიამმა ჩააბარა აშშ-ს The Juilliard School-ში. 2016 წელს მან დაამთავარა ჯულიარდის სკოლა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დიპლომით სტივენ კლაპის, სილვია როზენბერგისა და ლორი სმაკლერის ხელმძღვანელობით. ამჟამად იგი სწავლობს ჰანს აისლერის მუსიკალურ სკოლაში ევა შონვაის კლასში, ამავდროულად არის ჩრდილოეთ გერმანული რადიოფილარმონიის "იოსეფ იოახიმის" აკადემიის წევრი.

მარიამ მაჩაიძის ორკესტრთან სოლო დებიუტი შედგა 10 წლის ასაკში და მას შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო მრავალ საერთაშორისო ფესტივალში, როგორიცაა ვერბიე, შლასვიგ-ჰოლშტაინი, ფონტანბლიუ, ასპენი, ფოკუსი, ატერგაუ, კამპოს დო ჟორდაო და ლუცერნი. მარიამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია XXI საუკუნის მუსიკა და სწორედ ამ მიზნით ის ცდილობს პოპულარიზაცია გაუწიოს ჩვენი დროის მუსიკას. მისი შესრულებით შედგა ბევრი ახალი ნაწარმოების პრემიერა და ის რეგულარულად ასრულებს Axiom და New Juilliard Ensemble-ში.

მარიამი არის განათლების საერთაშორისო ცენტრის (2014-2016) , კრეისლერის, სტარის, დრინგის, ლევინისა და პრიმალის ბენეფიციარი. მას ასევე მოპოვებული აქვს გლაკისა და მორსის სტიპენდია. ის აქტიურადაა ჩაბმული საქველმოქმედო კონცერტებში და ცდილობს ორგანიზება გაუკეთოს კონცერტებს როგორც თბილისში ასევე ნიუ იორკში.

Mariam Machaidze – workshop for students

Saturday, 18 June 2016 MA at The Juilliard School and very successful and talented Georgian violinist *Mariam* Machaidze will conduct workshop for the students of Conservatoire,

Starts at 15:00
Chamber Hall of the Conservatoire (Auditorium № 307).

8 Griboedov st. Tbilisi 0108 Georgia.

Free Admission.

Born in 1992 in Tbilisi, Georgia, Mariam Machaidze began studying violin at the age of five. She studied in the Zakaria Paliashivili Central Music School with Mr. Konstantin Vardeli and Mr. Temur Pheradze. She moved to the United States in 2010 to study at the Juilliard School, where she graduated in 2016 with Bachelor and Master of Music degrees under the direction of Mr. Stephen Clapp, Ms. Sylvia Rosenberg and Ms. Laurie Smukler. Currently she studies at the Hochschule für Musik Hanns Eisler under the direction of Ms. Eva Schönweiß and is the Joseph Joachim-NDR Radiophilharmonie Akademie member.

Since her debut as a soloist with the Georgian State Orchestra aged 10, Mariam has participated in festivals worldwide, such as Verbier, Schleswig-Holstein, Fontainebleau, Aspen, FOCUS!, Chamberfest, Attergau, Campos do Jordão and Lucerne. As an avid promoter of new music she enjoys premiering pieces written by her peers as well as performing regularly with AXIOM and the New Juilliard Ensemble. She holds scholarships from the International Education Center (2014-2016), Fritz Kreisler, C.V. Star, Marie Dring, J. & R. Lhevinne and Rudolf Primal and was a holder of Gluck and Morse fellowships.

Mariam has been an active participant in the communities she’s lived in, organizing benefit concerts for breast cancer in Tbilisi, and performing in community outreach programs in New York City.